

## სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N6

### შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სი

#### ინკლუზიური განათლების პროგრამა და ზოგადი დებულება

#### 2019-2020 სასწავლო წელი

დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ოქმი N1

06 სექტემბერი, 2019 წელი

დირექტორი: მ. დეკანოიძე

წინამდებარე პროგრამა და დებულება წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის დანართს და მის განუყოფელ ნაწილს. დამტკიცებულია 2019 წლის 6 სექტემბრის პედსაბჭოს სხდომაზე სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სკოლას გააჩნია სსსმ მოსწავლისათვის მისაწვდომი შესავლელი – პანდუსი, პანდუსით შესაძლებელია გადაადგილება ზედა სართულებზეც, პირველ სართულზე ადაპტირებული სველი წერტილი, კვების ბლოკი, სამეცადინო და დასასვენებელი ოთახი, ე.წ. რესურს-ოთახი სათანადო ინვენტარით და ინტერნეტით. სკოლას შეუძლია განათლების მისაღებად შესაბამისი სრულყოფილი გარემოს შექმნა; ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის შემუშავებულია ინკლუზიური განათლების დებულება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა – ნიმუში. როგორც წესი, იქმნება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, თუ მოსწავლე სკოლაში ირიცხება სასწავლო წლის დასაწყისიდან და/ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს (ისგ ჯგუფს), რომელიც შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. ისგ ჯგუფში ერთიანდებიან კლასის დამრიგებელი, პედაგოგები, რომლებიც ასწავლიან მოსწავლეს, მშობელი/მეურვე, ფსიქოლოგი, ექიმი და სხვადამხმარებერსონალი. ისგ ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის ფსიქოლოგი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე.

ისგ ჯგუფის შეხვედრები ეწყობა სემესტრში მინიმუმ ორჯერ მაინც, რომელზეც გააანალიზებენ მიმდინარე პროცესებს, ისაუბრებენ შედეგებზე და შეიმუშავებენ მოკლე და გრძელვადიან ამოცანებს; ყოველი სემესტრის ბოლოს მოეწყობა ერთი შემაჯამებელი შეხვედრა; ყველა შეხვედრა აღირიცხება ოქმით და შეინახება მოსწავლის პირად საქმეში; ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სკოლის დირექტორთან და მას ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

## **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების უზრუნველყოფის დებულება**

დებულება განმარტავს სსსმ მოსწავლის ცნებას. ადგენს სკოლაში მათი მიღების პროცედურას, ხელს უწყობს ამ ბავშვებისათვის სასურველი და ადეკვატური გარემოს შექმნას და ინკლუზიური განათლების ეფექტურ მართვას.

ინკლუზიური განათლების სასკოლო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აძლევს თითოეულ მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების დაუფლების თანაბარ შესაძლებლობას.

სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ყველა ბავშვი სავალდებულო განათლებით და ხელი შეუწყოს სსსმ მოსწავლეს შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების, ნიჭის გამოვლენასა და განვითარებაში.

ინკლუზიური განათლების სასკოლო პოლიტიკა უნდა გადაისინჯოს და საჭიროებისამებრ შესწორდეს ყოველწლიურად. ასევე, შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწორებაც.

### **ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები**

- ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა და თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა;
- თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ პირებთან;

### **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განმარტება**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს ესგ–ით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. კერძოდ ესგ–ს მოდიფიცირებას ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

### **სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:**

- ა) ფიზიკური დარღვევა
- ბ) ინტელექტუალური დარღვევა
- გ) სენსორული დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის)
- დ) მეტყველების დარღვევა
- ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა
- ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება
- ზ) სირთულეებით სოციალური ფაქტორების გამო და ამ მიზეზით ვერ ძლევს ესგ–ს მოთხოვნებს

## **ფიზიკურ მდგომარეობაში შედის:**

ისეთი მდგომარეობა, როცა მოსწავლე დაუხმარებლად ვერ გადაადგილდება, ვერ ზის, ვერ დგას, ვერ იხრება და ვერ ატარებს სასკოლო ნივთებს. არ აქვს ხელების სიმარჯვე, რაც აისახება ხელების და თითების სუსტი გამოყენების უნარში. (მოსწავლეს უნდა შეეძლოს თითოეული ხელის თითებით მანიპულირება. ორივე ხელის კოორდინირებული გამოყენება რაიმე საქმიანობისას, მაგ. რაიმეს აღება, მცირე ზომის საგნებით მანიპულირება. საწერ-კალმის გამოყენება). არა აქვს განვითარებული მეტყველება, სმენა, მხედველობა და შესაბამისად ლაპარაკის, გაგების და დანახვის უნარი.

## **გონებრივ მდგომარეობაში შედის:**

1. მეხსიერების, კოორდინაციის, სწავლის და გაგების უნარი;
2. ჩამონათვალში შედის მოსწავლის უნარი დაიმახსოვროს, ჩამოაყალიბოს თავისი აზრები, დაგეგმოს და განახორციელოს მოქმედება, მიიღოს ახალი ცოდნა, ან გაიგოს წერილობითი ან სიტყვიერი ინფორმაცია.

3. მოსწავლე არ შეიძლება ჩაითვალოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონედ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მშობლიური ენა განსხვავდება სკოლაში სასწავლო ენისაგან.

## **სკოლის უფლება და ვალდებულებები**

1. სკოლა ვალდებულია გაითვალისწინოს ინკლუზიური განათლების აუცილებლობა, შექმნილი ჰქონდეს სტანდარტული პირობები და ასეთი მოსწავლეების არსებობის შემთხვევაში საკუთარი სარეზერვო ფონდიდან გამოყოს გარკვეული თანხა სხვა დამატებით საჭირო პირობების შესაქმნელად.

## **სსსმ მოსწავლის მიღება**

1. ინკლუზიური განათლების მიზანია უზრუნველყოს ყველა ბავშვი სასკოლო განათლებით, აქედან გამომდინარე სკოლა ვალდებულია და მზად არის მიიღოს ყველა მსურველი, არ უთხრას უარი ბავშვს სკოლაში მიღებაზე, მოიძიოს შესაბამისი საშუალებები მოსწავლეთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. .

2. სკოლის დირექცია, მშობლის მიერ წინასწარ უნდა იყოს გაფრთხილებული სსსმ მოსწავლის მიღების შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს მისი საჭიროების გათვალისწინება;

3. სკოლაში შესვლისას სსსმ მოსწავლე შეფასებული უნდა იყოს სპეციალისტების მიერ, სადაც განსაზღვრული იქნება მისი ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა, ინდივიდუალური საჭიროება და რეკომენდაციები სასკოლო გარემოს მოსაწყობად;

4. თუ არ არსებობს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შეფასება, მაშინ სკოლამ უნდა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლის შესაძლებლობების სიღმისეული შეფასება, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლის სიღრმისეული შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლა მიმართავს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს.

5. თუ სსსმ მოსწავლე გადმოდის სხვა სკოლიდან აუცილებელია რომ სკოლამ, სადაც სწავლობდა ბავშვი, გაატანოს სრული ინფორმაცია მისი მდგომარეობის შესახებ, რათა მოხდეს შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

### **სასკოლო გარემოს მოწყობა**

1. სკოლა ყველა შესაძლო ზომით ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის სკოლაში სწავლების ხელმისაწვდომობას, რომელიც გამოიხატება ფიზიკური გარემოს, მოდიფიცირებული პროგრამებით, სწავლის მეთოდებითა და კვალიფიკაციური კადრებით უზრუნველყოფაში.

2. აუცილებელია დადგინდეს, თუ რა სახის შეზღუდულობასთან გვაქვს საქმე და ამის მიხედვით მოხდეს ადეკვატური გარემოს უზრუნველყოფა;

3. თუ ბავშვს შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი, მაშინ სკოლა ვალდებულია მოახდინოს შენობის ადაპტირება, რაც გამოიხატება პანდუსების დაგებაში, ტუალეტების მოწყობაში, შესაბამისი მერხით და სხვა ინვენტარით აღჭურვაში.

4. თუ ბავშვს არა აქვს მეტყველების, სმენის და მხედველობის უნარი, სკოლამ მშობელთან ერთად უნდა გამონახოს შესაძლებლობა დაიქირაოს სპეციალისტი, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება სწავლის პროცესში, ასევე უნდა უზრუნველყოს მოსწავლე ბრაილის სასკოლო მოწყობილობით;

5. თუ ბავშვს შეზღუდული აქვს გონებრივი შესაძლებლობები, სკოლა მშობელთან ერთად უნდა გამონახოს შესაძლებლობა დაიქირაოს სპეციალისტი და შეადგინოს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

6. თუ მოსწავლეს შეზღუდული აქვს როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი შესაძლებლობები, ხდება ინდივიდუალური საჭიროების განსაზღვრა და იმის მიხედვით ადეკვატური გარემოს შექმნა;

7. სკოლა სსსმ მოსწავლისათვის იყენებს სპეციალურ ოთახს ე.წ. რესურსოთახს, სადაც სპეციალისტებს აქვთ საშუალება იმუშაონ მოსწავლესთან ინდივიდუალურად;

9. სკოლაში არსებობს სპეციალური ინვენტარი, რომელიც ეხმარება სსსმ მოსწავლეს ძირითადი საკითხების სწავლაში; (თვლა, ვიზუალური ან ხმოვანი აღქმა და ა.შ.);

### **სსსმ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება, დასწრება და გაცდენები**

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის საერთო ქულების გამოანგარიშება ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე.

გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

3. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ესგ–ით გათვალისწინებული ღონისძიებები გაცდენებთან დაკავშირებით.

4. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ წლიურ გამოცდასაბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლამ ახდენს საგამოცდო მასალის ადაპტირებას - ქმნის ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამას, რომელიც დაეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

## სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ესაჭიროება ხანგძლივი ჰოსპიტალიზაცია, ან ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ დადის სკოლაში, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლის განათლების მიღება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შინ სწავლების მეთოდით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს; სკოლა უდგენს მას სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს იმ საგნების ჩამონათვალს, რომელიც შინ სწავლებით უნდა დაძლიოს სსსმ მოსწავლემ.

3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული სასკოლო სასწავლო გეგმასთან. სკოლა ვალდებულია დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც საგნის და აგრეთვე სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი.

4. შინ სწავლების პროცესში ჩართული უნდა იყოს სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.

5. დროისა და ფინანსების დაზოგვის მიზნით შინ სწავლების პროცესში შესაძლებელია ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების გამოყენება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, ვიზიტების შუალედში, სკოლიდან გაუსვლელად აწარმოოს სსსმ მოსწავლის სახლში მეცადინეობის პროცესზე დაკვირვება, გაუწიოს კონსულტაცია სსსმ მოსწავლესა და მის მშობელს, მეურვეს ან სხვა პირს, რომელიც მოსწავლის სახლში მეცადინეობაზეა პასუხისმგებელი და ა.შ.

6. მინიმალური დატვირთვა სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში: სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა სპორტისა) კვირაში მინიმუმ 1 აკ.საათის ოდენობით ჩატარება.

## ინკლუზიური განათლების მართვა

### დირექტორი

1. მონაწილეობს ინკლუზიური განათლების სასკოლო პოლიტიკის შემუშავებაში და ზედამხედველობას უწევს მის განხორციელებას;
2. ზედამხედველობას უწევს ადაპტირებული სასკოლო გარემოს შექმნას და უზრუნველყოფს სკოლას ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი კადრებით;
3. ამტკიცებს ფინანსური ადმინისტრატორის მიერ განსაზღვრულ ბიუჯეტს ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად (სასკოლო გარემო, ტრენინგები, მასწავლებლების, ინკლუზიური განათლების კოორდინატორის და სხვა აუცილებელი დამხმარე პერსონალის ხელფასი);
4. ზედამხედველობას უწევს სსსმ მოსწავლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორისა და მასწავლებლების მუშაობას;
5. ამტკიცებს ინკლუზიური განათლების კოორდინატორის მიერ შემუშავებულ მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმას და სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასკოლო გრაფიკს;
6. გამოყოფს სპეციალურ ოთახს, აღჭურვილს ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი სასკოლო ინვენტარით.

### ინკლუზიური განათლების კოორდინატორი

სკოლაში ინკლუზიური განათლების კოორდინატორად მოიაზრება სკოლის სასწავლო ნაწილი.

1. ისე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად აფასებს და აანალიზებს მოსწავლის საჭიროებებს, შეიმუშავებს მოქმედების გეგმას, წერს ანგარიშს მისი განვითარების დინამიკაზე;
2. მონაწილეობს მოდიფიცირებული პროგრამის შედგენაში;
3. ეხმარება სსსმ მოსწავლეს სწავლის პროცესში შექმნილი სირთულეების დაძლევაში;
4. ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეს ჩაერთოს შესაბამისი კლასის სასწავლო პროცესში; ატარებს საუბრებს სკოლის მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის,
5. სარგებლობს სკოლის დირექციისა და კოლეგების მხარდაჭერით და შეიმუშავებს გზებს სსსმ მოსწავლეების სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გადასაღებად;
6. კოლეგებთან და სპეციალისტებთან ერთად აფასებს და აანალიზებს მოსწავლის საჭიროებებს, შეიმუშავებს მოქმედების გეგმას, წერს ანგარიშს მოსწავლის განვითარების დინამიკაზე;
7. კოლეგებთან (ისე ჯგუფი) ერთად მონაწილეობს მოდიფიცირებული პროგრამის შედგენაში;
8. ესწრება გაკვეთილებს და ეხმარება სსსმ მოსწავლეს სწავლის პროცესში;
9. უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ჩართვას დანარჩენ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესში;

10. აწვდის დირექციას წინადადებებს, ბიუჯეტის შედგენის დროს სსსმ მოსწავლის საჭიროების გასათვალისწინებლად;

**კოორდინატორი პასუხისმგებელია:**

- სსსმ მოსწავლის მშობელთან ეფექტურ თანამშრომლობაზე;
- თანატოლების სწორ ურთიერთობებზე სსსმ მოსწავლესთან;
- სსსმ მოსწავლის მიღწევებზე;
- სსსმ მოსწავლისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე;
- აღრიცხავს და ზედამხედველობას უწევს სსსმ მოსწავლის მოსწრებას და განვითარების პროგრესს;
- სსსმ მოსწავლის მშობელის ინფორმირებაზე;
- ახდენს მოსწავლის პრობლემის ინდენტიფიცირებას და აწვდის ინფორმაციას სკოლის დირექტორს.

**კლასის დამრიგებელი:**

- სსსმ მოსწავლისათვის ქმნის კეთილგანწყობილ გარემოს;
- თანამშრომლობს სსსმ მოსწავლის მშობელთან, აწვდის ყველანაირ ინფორმაციას ბავშვის შესახებ;
- ზედამხედველობას უწევს სსსმ მოსწავლის ურთიერთობას თანატოლებთან;

**მშობლის ვალდებულებები:**

1. მშობელი ვალდებულია, ერთი თვით ადრე, სსსმ მოსწავლის სკოლაში შეყვანამდე, შეატყობინოს სკოლის დირექციას აღნიშნულის შესახებ;
2. მშობელი შეძლებისდაგვარად ჩართული უნდა იყოს სასკოლო გარემოს მოწყობაში და მჭიდროდ თანამშრომლობდეს ისე ჯგუფის კოორდინატორთან და სკოლის დირექციასთან.

## მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - ნიმუში

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა.

<b>მოსწავლე (სახელი, გვარი)</b>	
<b>პირადი ნომერი</b>	
<b>სკოლა</b>	
<b>კლასი</b>	
<b>დაბადების თარიღი</b>	
<b>ასაკი</b>	
<b>მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი</b>	დედა - მამა - მეურვე/მზრუნველი -
<b>ტელეფონის ნომერი</b>	
<b>იურიდიული მისამართი</b>	
<b>ფაქტობრივი მისამართი</b>	
<b>მისამართი</b>	
<b>ელ ფოსტა</b>	
<p>ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მულტუდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული მოსწავლეებისთვის 2 კვირის ვადაში.</p> <p>ისგ-ის შექმნის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი) -----</p> <p><b>მოსწავლის ისგ-ზე პასუხისმგებელი პირი (კლასის დამრიგებელი)</b></p> <hr/> <p>სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად <u>სამუშაო ჯგუფი</u> (ისგ ჯგუფი), რომელშიც ერთიანდებიან სსსმ მოსწავლის საგნის მასწავლებლები, მშობელი, ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი. ისგ-ის შეხვედრები მნიშვნელოვანია ჩატარდეს წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ (იხ. ცხრილი). შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი, ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.</p>	
<b>ისგ - ის ჯგუფის შეხვედრები</b>	<b>თარიღი</b>



პირველი შეხვედრა - I სემესტრის დასაწყისში	
მეორე შეხვედრა - I სემესტრის ბოლოს	
მესამე შეხვედრა - II სემესტრის დასაწყისში	
მეოთხე შეხვედრა - II სემესტრის ბოლოს	
საჭიროებით განსაზღვრული შეხვედრა	

შენიშვნა: თუკი, წლის მანძილზე ჩატარდება საჭიროებით განსაზღვრული შეხვედრა, ცხრილს დაემატება შესაბამისი ჩანაწერები.

**(1) შეხვედრა - I სემესტრის დასაწყისში, თარიღი ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები**

1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	
2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		
6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		

**(2) შეხვედრა - I სემესტრის ბოლოს, თარიღი ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები**

1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	
2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		
6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		

**(3) შეხვედრა - II სემესტრის დასაწყისში, თარიღი ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები**

1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	
2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		

6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		
<b>(4) შეხვედრა - II სემესტრის ბოლოს ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები</b>		
1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	
2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		
6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		

**მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე**

<b>ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება</b>	<b>დიახ</b>	<b>არა</b>
(განმარტება: ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივი და/ან თვისებრივი ცვლილება, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების მოდიფიცირებას - რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით).		
დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ ის საგნობრივი პროგრამები (საგნები), რომელთა ფარგლებშიც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო მიზნის/ების განსაზღვრა		
_____		
_____		
_____		



სამშაბათი									
ოთხშაბათი									
ხუთშაბათი									
პარასკევი									

<p><b>სასწავლო გარემოს აკომოდაციის საჭიროება</b></p> <p>(განმარტება: სასწავლო გარემოს აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას)</p>	<p><b>დიახ</b></p>	<p><b>არა</b></p>
---	--------------------	-------------------

დადებითი პასუხის შემთხვევაში, შემოხაზეთ საჭირო აკომოდაციის სახეები

<p><b>ა) ინსტრუქციის აკომოდაცია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჟესტების ენა;</li> <li>• ბრაილის ანბანი;</li> <li>• კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება (ბარათებით კომუნიკაცია);</li> <li>• ტექსტის ლექსიკის გამარტივება</li> <li>• ვიზუალური მინიშნება;</li> <li>• ვიზუალური ცხრილი;</li> <li>• ფონტის გაზრდა;</li> <li>• ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა;</li> <li>• ინსტრუქციის პერიფრაზირება;</li> <li>• ინფორმაციის გამეორება;</li> <li>• აუდიო მასალის გამოყენება.</li> </ul>	<p><b>ბ) გარემო პირობების აკომოდაცია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სკოლისა და კლასის ფიზიკური გარემო;</li> <li>• საკლასო ოთახის მდებარეობა;</li> <li>• მერხების განლაგება;</li> <li>• მოსწავლეთა განთავსება;</li> <li>• განათება;</li> <li>• ადაპტირებული ავეჯი, სივრცე;</li> <li>• სწავლების სტრატეგია.</li> </ul>
--	---

<p><b>გ) შეფასების აკომოდაცია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• წერიტი გამოცდის/ტესტირების ზეპირით ჩანაცვლება ან პირიქით;</li> <li>• ასისტენტი, რომელიც მონიშნავს პასუხებს;</li> <li>• გამადიდებელი, ლუპა;</li> <li>• ხმის გამამდიერებელი;</li> <li>• კალკულატორი.</li> </ul>	<p><b>დ) დროის, გრაფიკის აკომოდაცია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დროის გაზრდა;</li> <li>• შეფასების, გამოცდის ეტაპობრივი ჩატარება;</li> <li>• დროის დაგეგმვა;</li> <li>• დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი;</li> <li>• შესვენების ინდივიდუალური გრაფიკი</li> <li>• დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა.</li> </ul>	
<p><b>დამატებითი სერვისების საჭიროება</b></p> <p>(განმარტება: შესაძლოა სსსმ მოსწავლეს ესაჭიროებოდეს დამატებითი სერვისები სკოლაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, მაგ. ინდივიდუალური გაკვეთილები რესურს ოთახში, ინდივიდუალური ასისტენტის მომსახურება, მობილობა-ორიენტაციის ტრენერი, ქესტური ენის თარჯიმანი, სასკოლო ავტობუსით მომსახურება, ადაპტირებული ავეჯით სარგებლობა და სხვ.)</p>	<p><b>დიახ</b></p>	<p><b>არა</b></p>
<p>დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ საჭირო სერვისი:</p> <hr/> <hr/> <hr/>		

**შენიშვნა:** დადებითი პასუხების შემთხვევაში პირადი საქმე უნდა შეიცავდეს შესაბამის დოკუმენტაციას (სამედიცინო ინფორმაცია, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, სხვა სპეციალისტების დასკვნა), რომელშიც შესაბამისი სპეციალისტის მიერ დასაბუთებული უნდა იყოს აღნიშნული საჭიროებები.

კლასის დამრიგებლის ხელმოწერა \_\_\_\_\_

დირექტორის ხელმოწერა \_\_\_\_\_

მშობლის ხელმოწერა \_\_\_\_\_

## შეფასების შედეგები

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის აკადემიური, კოგნიტური, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ

აკადემიური უნარები (აფასებს საგნის მასწავლებელი)	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
წერა		
კითხვა		
თხრობა		
ანგარიში		
კოგნიტური (შემეცნებითი) უნარები  (აფასებს სპეც მასწავლებელი ან/და ფსიქოლოგი )	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
აღქმა		
ყურადღება		
მეხსიერება		

აზროვნება		
მეტყველება		
ქცევა და ემოცია		
კომუნიკაცია		
მსხვილი მოტორული უნარები		
ნატიფი მოტორული უნარები		
ფუნქციური უნარ-ჩვევები (კვება, ჩაცმა გახდა, ტუალეტი, საკუთარი ნივთების მოწესრიგება...)		
ინტერესები, განსაკუთრებული მიდრეკილებები		
საგანმანათლებლო გარემოს შეფასება	საჭირო რესურსების ჩამონათვალი, რაც მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლის სწავლის ხელშეწყობისთვის, მაგ ადამიანური ან/და მატერიალური რესურსი	

არსებული რესურსები -----

საჭირო რესურსები -----



მოსწავლის საგნობრივი შეფასება სასწავლო წლის დასაწყისში

მოსწავლის სახელი-გვარი: \_\_\_\_\_

კლასი: \_\_\_\_\_

საგანი: \_\_\_\_\_

მასწავლებლის სახელი-გვარი: \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_

აქ იწერება მონაცემები მოსწავლის მიღწევის დონის შესახებ, საგნობრივ პროგრამასთან მიმართებაში, სსსმ მოსწავლეს აფასებს ყველა ის საგნის მასწავლებელი, რომელიც მას ასწავლის

შედეგების გრაფაში შეიძლება ჩაიწეროს შედეგები და ინდიკატორები სხვადასხვა კლასის სტანდარტიდან სხვადასხვა მიმართულებისთვის და საგნებისთვის

მოსწავლემ გასული სასწავლო წლის დასასრულს გამოავლინა შემდეგი სასწავლო შედეგი/ები	შედეგის მიღწევას ადასტურებს ინდიკატორი/ები	შედეგის მიღწევას არ ადასტურებს ინდიკატორი/ები

მასწავლებლის დასკვნა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების საჭიროების თაობაზე



მასწავლებლის ხელმოწერა \_\_\_\_\_

დირექტორის ხელმოწერა \_\_\_\_\_

**შენიშვნა:** ეს ფურცელი გადამრავლდება ყველა საგნის მასწავლებლისთვის

## ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

თარიღი:

საგანი:

მასწავლებლის სახელი, გვარი

მიმართულება:

გრძელვადიანი მიზანი (წლიური ან სემესტრული)

1
---

მოკლევადიანი მიზანი (ერთი მოკლევადიანი მიზანი განისაზღვრება 4-6 კვირის ვადით, სასწავლო წლის მანძილზე სსსმ მოსწავლისთვის შედგენილი უნდა იყოს 6-7 მოკლევადიანი მიზანი)

1	
---	--

ჩამოწერეთ მიზნის შესაბამისი აქტივობები მაგალითისთვის, მსგავსი აქტივობების წინასწარ შედგენა თქვენ დაგჭირდებათ ყოველი გაკვეთილის დაგეგმვამდე		რესურსი
1		
2		
3		
4		

შენიშვნა: ეს ფურცელი გადამრავლდება ყველა საგნის მასწავლებლისთვის

## ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი

გრძელვადიანი მიზანი:

მოკლევადიანი მიზნები:

მოკლევადიანი მიზნები		თვე 1	თვე 2	თვე 3	თვე 4	თვე 5
1						
2						
3						
4						
5						

მიღწეული მოკლევადიანი მიზნების აღწერა ხდება განმავითარებელი კომენტარით

მნიშვნელოვანია, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას თან ახლდეს სასწავლო წლის მანძილზე შესრულებული მოსწავლის ნამუშევრები, დავალებები.